განკარგულება:**g-47. 47230876**
თარიღი:**28/03/2023**

განკარგულება N16

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ივლისის N48 განკარგულებაში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ბუკისციხის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ იანეულში მდებარე უსახელო ქუჩისთვის ისააკ კეკელიძის სახელის მინიჭების შესახებ“

ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61 - მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის შესაბამისად

საკრებულო ადგენს:

1. ცვლილება შევიდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ივლისის „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ბუკისციხის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ იანეულში მდებარე უსახელო ქუჩისთვის ისააკ კეკელიძის სახელის მინიჭების შესახებ“ N48 განკარგულებაში და პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ბუკისციხის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ იანეულში მდებარე უსახელო ქუჩას და 5 ჩიხს მიენიჭოს ისააკ კეკელიძის სახელი თანდართული ორთოფოტოს შესაბამისად“.

2. ცვლილება შევიდეს განკარგულების თანდართულ ნახაზსა და ორთოფოტოში და შეიცვალოს ახალი ორთოფოტოს თანდართული რედაქციით.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი